ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4798413

ნომერი: AR1724221

თარიღი : 13.12.2019

გაცემის თარიღი : 20.12.2019

გაცნობის თარიღი : 23.12.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 31;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარინა რაზმაძე პ/ნ 01024015491
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N 36, ბინა 58

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ვერ დგინდება მათი კანონიერების საკითხი (არსებული კანონმდებლობის მიხედვით უკანონო მიშენების შემდგომ განვითარებაზე სამსახური ნებართვას ვერ გასცემს), იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა წარმოადგინოთ მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლის შესაბამისი დოკუმენტაცია, მშენებლობის ნებართვის შესაბამისი აქტები ან ლეგალიზების აქტი, კანონიერების დამადასტურებელ სხვა საბუთებთან ერთად. მხოლოდ აღნიშნულის წარმოდგენის შემდგომ სამსახური სრულყოფილად იმსჯელებს მოთხოვნილ საკითხთან მიმართებაში.

გარდა ამისა:
..არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა წარმოადგინოთ შორი მანძილიდან და სხვადასხვა ხედიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ერთიანი ფოტომასალა (და არა ფრაგმენტული, როგორც ეს წარმოდგენილი გაქვთ), სადაც ნათლად გამოჩნდება მთლიანი შენობის ფასადი და ასევე მათზე დამუშავებული ფოტომონტაჟები ყველა გაბარიტული ზომის ჩვენებით.

წარმოდგენილ იქნეს რეესტრში რეგისტრირებული ქვეიჯარის ხელშეკრულება და საჭიროების შემთხვევაში ქვემეიჯარის თანხმობა. თუ ეხებით სხვის სარგებლობაში არსებულ ფართს წარმოდგენილ იქნეს მათი თანხმობა, ხოლო თუ არ ეხებით განმარტეთ.

ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, ახალი გარემოებების წარმოჩენის შემთხვევაში დამატებით გეცნობებათ გამოვლენილი ხარვეზების შესახებ ინფორმაცია.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.